პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 269 (13354) | კვირა, 14 ნოემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

წინასაყრილობო შეჯიბრება მომავალ წარმატებათა წყაროა

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად

ინიციატორთა მზარდმზარ

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის რესპუბლიკის სოფლებში მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების ინიციატორებს ჰიათურელ მადაროელებს პირველნი გამოეხმაურნენ გურჯაანის, გორის, ზუგდიდისა და ბოგდანოვკის რაიონების სოფლის მშრომელნი და ერთსულოვნად დაუჭირეს მას მხარი.

გურჯაანის რაიონის მშრომელებმა შვიდწლიანის დამამთავრებელ წელს დიდ წარმატებას მიაღწიეს. ნაცვლად 37.796 ტონისა სამშობლოს მისცეს 55 ათას ტონამდე ყურძენი. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ხილ-ბოსტნეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმები. გურჯაანელებმა ჰიათურელთა მაგალითით ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. ისინი წელს 200 ჰექტარზე და გაიხად 192 ჰექტარზე გააშენებენ ახალ ვენახებს. გურჯაანელებმა ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის უკვე დაიწყეს ბრძოლა. ვენახების გაშენება, სიმეჩხერესთან ბრძოლა და შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები აქ აგროწესების მტკიცედ დაცვით მიმდინარეობს.

ზუგდიდელმა მეჩაიეებმა წელს ერთხელ კიდევ ასახელეს სამშობლო, ძნელ ბუნებრივ პირობებში მოიპოვეს წარმატება და მრეწველობას ჩაბარეს 24 ათას ტონამდე „მწვანე ოქრო“. მომავალ წელს ისინი 26.270 ტონა ნედლეულს მისცემენ სამშობლოს. აქაც წარმატებით მიმდინარეობს პლანტაციებში საშემოდგომო სამუშაოები.

გორის რაიონის მშრომელებმა წელსაც ისახელეს თავი. უამინდობის მიუხედავად გადაჭარბებით შეასრულეს ხილის დამზადების გეგმა, სამშობლოს მისცეს 23.862 ტონა ხილი.

წინასაყრილობო სოცშეჯიბრებით გადიდებული ვალდებულებები აკისრეს აგრეთვე ბოგდანოვკის რაიონის მშრომელებმა. მათ მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის მიმდინარე წლის გეგმები გადამეტებით შეასრულეს.

გურჯაანელების, ზუგდიდელების, გორელებისა და ბოგდანოვკელების წინასაყრილობო ვალდებულებებს რესპუბლიკის ბეგრმა რაიონმა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ დაუჭირა მხარი. თელავის, წყალტუბოს, ყვარლის, ლაგოდეხის, ქარელის, მახარაძის, ზესტაფონის, ქობულეთის, გალის, სილნაღის, თეთრი წყაროს, გარდაბნის და სხვა რაიონებში უკვე მოეწყო აქტივის კრებები. ფართოდ და საქმიანად განიხილეს ინიციატორთა მიერ ნაკისრი ვალდებულებანი, დასახეს თავიანთი სამოქმედო პროგრამა და დაიწყეს ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

წინასაყრილობო სოცშეჯიბრებაში წითელწყაროელმა და სიღნაღელმა მხვნელ-მთესველებმა პირველი წარმატება უკვე მოიპოვეს. მათ გადაჭარბებით შეასრულეს თავთავიანი კულტურების ხაშემოდგომო თესვის გეგმები, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს მომავალი წლის მოსავალს.

იკისრო ახალი ვალდებულებანი, სიტყვა მისცე პარტიას, სამშობლოს — ეს დიდი და საპატიო საქმეა. მაგრამ მთავარი ეს როდია. გადამწყვეტი და საამაყოა მიცემული სიტყვის შესრულება. ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ერთსულოვნად უნდა დაირაზმონ სოფლის მშრომელები.

ახლა სოფლად ბევრი გადაუდებელი სამუშაოა. მიმდინარეობს მზრალის ხვნა, ხაშემოდგომო თესვა, დასასრულს უახლოვდება პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის მზადება, ბაღ-ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში დაიწყო შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები და სხვ. სოფლის მშრომელთა საპატიო ვალია ყველა ეს სამუშაო თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ, რომ ნაკისრი ვალდებულება მაღალ დონეზე გაანაღდონ. წინასაყრილობო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში კი უნდა იყონ კომუნისტები, კომკავშირელები, სპეციალისტები. სწორედ ისინი უნდა მუშაობდნენ იმ უბნებზე, სადაც წარმატების ბედი წყდება.

მალე ყველგან გაიმართება პარტიული კონფერენციები. კომუნისტი დელეგატები საქმიანად უნდა მსჯელობდნენ მიღწეულ წარმატებებზე, ანალიზს უკეთებდნენ განვლილ მუშაობას, სახავდნენ შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებს და ადგენდნენ კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას.

ამჟამად სოფლის მეურნეობის მშრომელთა უპირველესი ამოცანაა წარმატებით შევეგებოთ ჩვენი პარტიის XXIII ყრილობას, ვამრავლოთ სოფლის ხვავი და დოვლათი.

• პატრიოტული თაოსნობის მხარდასაჭერად •

ჯყვარჩელელ მეშახტეთა პასუხი

მეტი, იაფი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისთვის რესპუბლიკის მებრძოლთა პირველ რიგებში დგას ტყვარჩელის მაღალმთიანი მეხუთე შახტის კოლექტივი, რომელმაც შვიდი თვით ადრე უპატაჟა სამშობლოს შვიდწლიანი გეგმის შესრულება. მეხუთეშახტელებს არ ჩამორჩებიან უძველესი საწარმოს — პირველი შახტის მეშახტეები, რომლებმაც 14 სექტემბერს გაანადღეს შვიდწლედის დავალება, ხოლო მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ქართველ მეფოლადეებს გეგმის გადამეტებით 11 ათასი ტონა ქვანახშირი გაუგზავნეს. ტყვარჩელში ყველაზე ახალგაზრდა და მექანიზებული მიწისქვეშა საწარმოა — შეექვსე შახტის კოლექტივმა 20 ოქტომბერს დამამთავრა შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის ლაშქრობა.

რატომღაც, შეწყობილად მუშაობენ ქვანახშირის გამაუხვებლებიც.

უკანასკნელ წლებში ტყვარჩელის შახტებში დაინერგა მრავალი ტექნიკური სიახლე, — ქვანახშირის დამუშავებისა და შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდები, შრომატევად სამუშაოთა მთელი რიგი პროცესები მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ შეცვალა. მეხუთე წელია, რაც შახტებში ფართო გასაქანი ჰპოვა ყარაგანდელ თანამოსაქმეთა პროგრესულმა მეთოდმა — კომპლექსური სადღეღამისო გამჭოლი ბრიგადების მუშაობამ. ყოველივე ამის შედეგად შახტებში დაკვიდრდა შეწყობილი, რიტმული მუშაობა. მიღწეულია სათბობის ამოღების სიტემატური ზრდა. შვიდწლედის განვლილ პერიოდში მიწისქვეშ მომუშავე კოლეგერთა ხაზების ორმოცდაათი პროცენტი ვადაყვანილია დისტანციურ-ავტომატურ მართვაზე. ყოველივე ამან განაპირობა შვიდწლედის მანძილზე 100 ეშელონი ზეგეგმითი „შავი ოქრის“ ამოღება.

ჰიათურელ მაღაროელთა პატრიოტულ მოწოდებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეშახტეებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა მხურვალედ დაუჭერეს მხარი და ჩაებნენ ამ სახალხო შრომითს ლაშქრობაში. გადაწყვეტილი გვაქვს კვლავ განვაგრძოთ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ყარაგანდელ „აბაიქვანახშირის“ ტრესტის მეშახტეებთან. ყაზახ მეშახტეებთან სოციალისტურ შეჯიბრებას პირველად წელს ჩაეყარა საფუძველი. კვლავ განვამტკიცებთ ტრადიციულ შეჯიბრებს ტყიბულელ, უკრაინელ და სხვა მეშახტეებთან.

ვემზადებით რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების შესაბამისად, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეშახტეთა კოლექტივი ეკისრება:

ქვანახშირის ამოღების შვიდწლიანი გეგმა შევასრულოთ 12 დეკემბრისათვის, ხოლო წლიური დავალება 28 დეკემბრისათვის. სახელმწიფოს მივცეთ 27 ათასი ტონა ზეგეგმითი სათბობი.

ქვანახშირის ამოღების 1966 წლის პირველი კვარტალის გეგმა შევასრულოთ სკკპ XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის და სულ მცირე 5 ათასი ტონა ზეგეგმითი სათბობი მივაწოდოთ სახალხო მეურნეობას. ყრილობის გახსნის დღისათვის რუსთაველ მეტალურგებს გავუგზავნოთ 1.000 ტონა ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი კონცენტრატი.

სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა როგორც მიმდინარე წლის დავალება, ისე მომავალი 1966 წლის პირველი კვარტალის გეგმა განვახორციელოთ 102 პროცენტით.

ქვანახშირის ხარისხი გეგმასთან შედარებით გავაუმჯობესოთ 0,1 პროცენტით.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ გეგმასთან შედარებით 1,5 პროცენტით.

მასალების მომპირნეობით ხარჯვით, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვით, სამთო ტექნიკის სრულად გამოყენებით და ამოღებული ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებით დაზოგოთ 15 ათასი მანეთი.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეშახტეთა კოლექტივის დავალებიან:

ლ. ქვარაღნია — საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ა. ვარდიშვილი** — ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველი; **ო. გვაძაბია** — ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ტყვარჩელის რაიონის თავმჯდომარე; **მ. მარუშანია** — საქართველოს ალკკ ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **რ. ბოცვაძე, მ. სიმონიშვილი, ვ. ღვინჯილია** — შახტების უფროსები; **დ. მამარდაშვილი, ვ. ვიტოლინი, ა. შარია** — უბნების უფროსები; **ვ. ჯიქაურული, მ. ბიგვავა, ა. კალანდაძე, ა. ბუიანკინი, ლ. მიქვაბია** — კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები.

ქვაისელთა ვალდებულება

ქვაისი. (საკ. კორ.). ქვაკასონის მთების სიღრმეში, იქ, სადაც ქვაისახოხის მთის ფერდობზე ჩირადღნები კიაფობს, ადამიანები მიწის სიღრმეში შრომობენ, დაძაბულ ბრძოლაში მთის გულიდან ძვირფასი მადანი — ტყვია და თუთია გამოაქვთ.

საბადოს მუშათა კოლექტივი აღფრთოვანებით შეხვედა ჰიათურელ მაღაროელთა პატრიოტულ თაოსნობას და ახალი შრომითი ვალდებულებანი იკისრა. ვალდებულების პირველი პუნქტი უკვე განაღდებულია — საერთო პროდუქციის გამოშვების თერმეტი თვის დავალება საბადოს კოლექტივმა 3 ნოემბრისათვის შეასრულა.

ახლა ქვაისელი მაღაროელები იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური საწარმოო პროგრამა კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის გაანაღდონ, მაგრამ მარტო ეს როდია ამ სახელოვანი კოლექტივის ვალდებულება. ქვაისელებმა გადაწყვიტეს შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 0,5 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, დამზმარე მასალების მომჭირნეობით სახელმწიფოს მისცენ რამდენიმე ათეული ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ საბადოს ყველა მაღაროს კოლექტივები.

შეჯიბრებაში ვიმარჯვებთ

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილების განხორციელებით ლაგოდეხის რაიონის სოფლის მშრომელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, აბრეშუმის, ბოსტნეულის, ეთერზეთების, რძის, კვერცხის, მატყლის, ხილის, თამბაქოს და ხორცის მიყიდვის წლიური გეგმები გადაჭარბებით შესრულდა.

წლის ბოლომდე სახელმწიფოს დაშატებით მიეყიდება ბოსტნეული 300 ტონა, მარცვლეული — 300 ტონა, რძე — 100 ტონა, 40 ათასი ცალი კვერცხი, ხორცი — 100 ტონა, თამბაქო გეგმის ზვევით დამზადებული იქნება 500 ტონამდე, ე. ი. 4.200 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდება 4.700 ტონა.

არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენებით, შრომის ორგანიზაციის განმტკიცებით, მატერიალური წახალისების გაუჯობესებით ლაგოდეხელებმა გადაწყვიტეს ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კპ XXIII ყრილობის აღსანიშნავად, და 1966 წლისათვის იკისრეს შემდეგი ვალდებულებები:

მომდინარე წელს სამეურნეოდ თავთავიან კულტურებს დათესავენ 10.235 ჰექტარს და

ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ვალდებულებები

1966 წელს ხორბლეულის საერთო წარმოებას აიყვანენ 18.423 ტონამდე ნაცვლად 17.500 ტონისა; ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ 18 ცენტნერს ნაცვლად 17 ცენტნერისა. სიმინდს დათესავენ 2.567 ჰექტარს, ჰექტარზე საშუალოდ ნაცვლად 32 ცენტნერისა მიიღებენ 35 ცენტნერს. სახელმწიფოს მიჰყიდიან მარცვლეულს 4.000 ტონას ნაცვლად 3.210 ტონისა.

თამბაქოს დარგავენ 2.518 ჰექტარს და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.250 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდიან 4.700 ტონა თამბაქოს ნედლეულს; ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულს — 3.800 ტონას ნაცვლად 3.625 ტონისა.

ყურადღებას დაუთმობენ ადრეული ბოსტნეულის წარმოების საქმეს და ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 2.000 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდიან 2.200 ტონა ბოსტნეულს. მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობას, წელს გაშენდება 25 ჰექტარი ვენახი და 100 ჰექტარი ხეხილის ბაღი. 1966 წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 1.600 ტონა ყურძენს ნაცვლად 1.500 ტონისა, ხოლო ეთერზეთოვან ნედლეულს — 4.000 ტონას ნაცვლად 3.780 ტონისა, აბრეშუმის პარკს ნაცვლად 167 ტონისა 200 ტონას.

ყველა ღონისძიებას გაატარებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის. მარცვლეულისა და საკვები ბაზის განმტკიცების, პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შედეგად 1966 წელს აწარმოებენ ხორცს ცოცხალი წონით 5.670 ცენტნერს, რძეს — 31.110 ცენტნერს, კვერცხს — მილიონ ცალს და მატყლს — 200 ცენტნერს. წარმოების გადიდების შესაბამისად გადაჭარბებით შესრულდება მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდება ხორცი ყველა სქესრმის მისაღებით 6.900 ცენტნერი, რძე — 2.400 ტონა ნაცვლად 2.000 ტონისა, კვერცხი 700 ათასი ცალი ნაცვლად 655 ათასი ცალისა, მატყლი — 480 ცენტნერი.

ბათუმის რაიონის გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ციტრუსების შერჩევითი კრეფა მიმდინარეობს. ზოგიერთ ნაკვეთზე „პომპელმუსის“ ჯიშის მსხვილი ციტრონის მოსავალს იღებენ. ეს ციტრუსოვანი ნაყოფი საფეხბურთო ბურთის ოდენა იზრდება. პომპელმუსის ჯიშის ციტრონს ფართოდ იყენებენ ცუკატებისა და მურაბის დამზადებისას.

სურათზე: მეციტრუსე ციალა ელენტი პომპელმუსის ჯიშის ციტრონის კრეფაზე გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო. ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ყოველდღიურად — ათასი რეისი

მოსკოვი, 13 ნოემბერი. (საკდესის კორ.). 15 ნოემბრიდან ჩვენი ქვეყნის საშინაო საჰაერო ტრასებზე წესდება აეროფლოტის ზამთრის განრიგება.

ყოველდღიურად მარტო სამაგისტრალო ხაზებზე თვითმფრინავები ათასზე მეტ რეისს გააკეთებენ — ორასით მეტს, ვიდრე გასული წლის ზამთარში. რვა „ტუ-104“ ყოველდღიურად გაფრინდება მოსკოვიდან ლენინგრადს. დღე-ღამეში ორჯერ ხაბაროვსკის აეროდრომზე დაეშვება 170-ადგილიანი გიგანტი „ტუ-114“. დღეში ოთხ რეისს გააკეთებს „ილ-18“ მოსკოვ-ალმა-ატის ტრასაზე.

მგზავრებს, რომლებიც ტრანზიტად მიფრინავენ დედაქალაქის ბავლით იაკუტიიდან, მაგადანიდან, იუჟნო-სახალინსკიდან და სხვა ქალაქებიდან, შეუძლიათ ბილეთი დაჯავშნონ თვითმფრინავშივე.

თხუთმეტი ნოემბრიდან გაზეთ „პრავდის“ მატრიცებს თვითმფრინავები ჩაიტანენ ყარაგანდასა და იუჟნო-სახალინსკში, „იზვესტიისას“ — ჩელიაბინსკსა და კემეროვოში. აეროფლოტის თვითმფრინავები ცენტრალური გაზეთების მატრიცებს ჩაიტანენ ჩვენი ქვეყნის სულ 36 ქალაქში.

დირიჟორთა სრულიად საკავშირო კონკურსი

მოსკოვი, 12 ნოემბერი. (საკდესის კორ.). 1966 წლის დეკემბერში მოსკოვში გაიმართება დირიჟორთა სრულიად საკავშირო კონკურსი. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიამ დღეს ამის შესახებ მიიღო დადგენილება.

იმ ახალგაზრდა მუსიკოსებს შორის, რომლებმაც უკანასკნელ წლებში დამთავრეს ჩვენი ქვეყნის კონსერვატორიები, ბევრი ნიჭიერი დირიჟორია. მათ ჯერ არ იცნობენ მსმენელთა ფართო წრეები. კონკურსი გამოავლენს ნიჭიერ მუსიკოსებს, ხელს შეუწყობს საბჭოთა დირიჟორების დოსტატებას.

დირიჟორთა სრულიად საკავშირო კონკურსი პირველად იმართება უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. საკონკურსო გამოცდა სამი ტურისაგან შედგება — ორი შესარჩევი და ერთი ფინალური. დაწესებულია ექვსი პრემია. კონკურსის ლაურეატები საგასტროლო მოგზაურობას მოაწყობენ ჩვენს ქვეყანაში. მათ გამოსვლებს ჩაიწერენ გრამფირფიტებზე.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია დ. ბ. კაბალევსკი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორ ს. ბ. დოლიძისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭოს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორს სიმონ ბესარიონის ძე დოლიძეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.

1965 წლის 13 ნოემბერი.

ზეიმზე ავღანეთში

მოსკოვი, 13 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან ავღანეთში გაეგზავნა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კ. ტ. მაზუროვის მეთაურობით, რომელიც მოხაწილეობას მიიღებს საავტომობილო გზის კუშკა-გერატ-კანდაგარის ოფიციალური გახსნის ზეიმში.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. შელეპინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ვ. ნ. ნოვიკოვმა და ი. ტ. ნოვიკოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. გამცილებელთა შორის იყო ავღანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში მუჰამედ არეფი.

ლენინის ორდენი დაღესტნის დროშაზე

მახაჩყალა, 13 ნოემბერი. (საკდესის კორ.). დღეს შესრულდა საბჭოთა დაღესტნის 45 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით აქ გაიმართა რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ა. ჰ. კირილენკომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ლენინის ორდენი გადასცა დაღესტნის ასს რესპუბლიკას, რომელიც დაჯილდოებულია სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის. ამხ. კირილენკომ სიტყვა წარმოთქვა კრებაზე.

კრების მონაწილეებს მიესალმნენ აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის დელეგაციების, ჩრდილოეთ კავკასიის მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების დელეგაციების წარმომადგენლნი.

მარგანეცის გეგმის გაღაჭეტებით

ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც 7 ნოემბრისათვის შეასრულა მარგანეცის გამოღების შვიდწლიანი გეგმა.

თავდადებულად შრომობენ საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც ა. დარბაიძე, ვ. მაჭავარიანი, გ. ტყეშალაძე ხელმძღვანელობენ.

წინასაყრილობო შრომითი ვახტზე დგანან წარჩინებული მაღაროელები ბ. აბრამიშვილი, პ. გოგატიშვილი, მ. დეკანოიძე, უ. ვაშაკიძე, გ. იაკობიძე და სხვები, რომლებიც ყოველდღიურად ზეგეგმითს მადანს იძლევიან.

დიმიტროველები ყრილობისათვის ახალ საწარმოო საჩუქრებს ამზადებენ.

ს. მაჭავარიანი.

ამხ. მ. ტ. ეფრემოვი დაინიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მიხეილ ტიმოთეს ძე ეფრემოვი დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

(საკდესი).

საბჭოთა საზოგადოებრიობა შეშფოთებულია

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა ალჟირის შესაბამის ხელისუფლებს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც გამოთქვამს საბჭოთა ადამიანების შეშფოთებას ალჟირში მთელი რიგი პატრიოტული მოღვაწეების დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ დაპატიმრებული ალჟირელი მოღვაწენი, კერძოდ ხოსინ ზახუანი, ბაშირ ჰაჯ ალი, მოჰამედ ჰაბრი და სხვები, ცნობილი არიან როგორც ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილენი. როგორც უცხოთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, დაპატიმრებანი წარმოებს ისე, რომ პატიმრებს არ უყენებენ მოტივირებულ ბრალდებებს, არ უშვებენ მათთან ადვოკატებსა და ნათესავებს. ჰუმანურობის პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა ასეთი დარღვევა იწვევს საბჭოთა ადამიანების შეშფოთებას. ისინი დიდი სიმპათიით ეკიდებიან ამირ ალჟირელ ხალხს, რომელმაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა კოლონიზატორებთან ხანგრძლივ სისხლისმღვრელ ბრძოლაში.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის მილიონობით წევრის-სახელით აღმასკომი მოუწოდებს ალჟირის ხელისუფლებს დაპატიმრებულთა მიმართ უზრუნველყონ კანონიერებისა და ადამიანის უფლებათა დაცვა, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში და დადასტურებულია დამოუკიდებელი ალჟირის კონსტიტუციით.

სიბეჭდოთა წითელი ჯვარი, აღნიშნულია დეპეშის დასასრულს, რომელიც ყოველთვის იხმარებოდა ალჟირელ ხალხს სამართლიან ბრძოლაში, მზად არის მატერიალური დახმარება გაუწიოს დაპატიმრებულ ალჟირელ პატრიოტთა ოჯახებს. (საკდესი).

არღვევენ ცეცხლის შეწყვეტის პირობებს

პაკისტანი

ყარაჩი, 13 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ პაკისტანმა გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 10-11 ნოემბერს ინდოეთის ჯარებმა დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტის პირობები ქაშმირის სხვადასხვა სექტორში. ინდოეთის ქვეგანაყოფებმა ცეცხლი დაუშინეს პაკისტანის საგუშაგოებს ჰუსეინვალისა და ფაზილკის (დასავლეთ პაკისტანი) სექტორებში.

ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ინდოეთის ჯარები ცდილობდნენ ჰადრის რაიონში (რაჯასტანის სექტორი) შეჭრილიყვნენ ტერიტორიაზე, რომელიც პაკისტანის ქვეგანაყოფებს უჭირავთ.

დელი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთის ოფიციალური ცნობების თანახმად, პაკისტანმა კვლავ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის პირობები. პაკისტანის თვითმფრინავებმა თავს დასტრიალებდნენ ინდოეთის პოზიციებს პენჯაბისა და რაჯასტანის რაიონებში.

ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ რაჯასტანის სექტორში შეიარაღებული პაკისტანელები მოიწევდნენ ინდოეთის პოზიციებისაკენ. ქაშმირში, აღნიშნულია ცნობაში, პაკისტანის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს ინდოეთის საგუშაგოებს, აგრეთვე ამაგრებდნენ პოზიციებს და აშენებდნენ ახალ საფრეებს.

პარტიზანები მოქმედებენ

კარაჩი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ვენესუელის პარტიზანთა რაზმი თავს დაესხა საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს მთელ რიგ ობიექტებს ელ-რარატოს დასახლებულ პუნქტში, რომელიც 5 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ კალაბოზოდან (გუარიკოს შტატი). ყველა ობიექტი მთლიანად დაიწვა.

მორანის ოლქში (ლარის შტატი) ორი პოლიციელი დაიჭრა იმის შედეგად, რომ სამხედრო პატრულმა ცეცხლი დაუშინა პოლიციელთა ჯგუფს, რომლებიც მას პარტიზანები ეგონა.

აგრესიის მსხვერპლნი

ჰანოი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკელი აგრესორები საომარი მოქმედების დროს ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და მომწამლავ ქიმიურ ნივთიერებებს აფრქვევენ სამხრეთ ვიეტნამში. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომელიც იმოწმებს სააგენტო „განთავისუფლებას“, 30 ოქტომბერს ამერიკის ავიაციამ დაბომბა ბინდინის პროვინციის სოფელი დედეკი. დაბომბვის შედეგად სოფლის 100-ზე მეტი მცხოვრები დახოცილი და დაჭრილია.

პლეიმესთან საომარი მოქმედების მსვლელობაში ამერიკის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ბანაკს მახლობლად დდებარე სოფელს. დაიღუპა 11 მშვიდობიანი მცხოვრები.

სამი დღის განმავლობაში, 27 ოქტომბრამდე, ამერიკის თვითმფრინავებმა ბიენჰოის პროვინციაში არაერთხელ მოაფრქვიეს მომწამლავი ქიმიური ნივთიერებანი. ამ ბარბაროსული მოქმედების შედეგად აღნიშნულ პროვინციაში მოსპობილია ასობით ჰექტარი ნათესები და ნარგავები.

შტრაუსი: „ჩქარა მოგვეცით ატომური ბომბი, თორემ ამ ხელკეტსა გთხლიშავთ“.

სახატ. მხატვარ ბეიერ-რედისა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან“.

ᲕᲐᲚᲣᲩᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲖᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲡ ᲬᲚᲘᲡ. ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲖᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲠᲯᲘᲡᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲗᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲠᲔᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲚᲝᲒᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲜᲐᲒᲘᲡ ᲛᲔᲖᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲖᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲠᲯᲘᲡᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲗ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ.

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲐᲣᲑᲐᲠᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲠᲔᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲜᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲗ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ.

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲪᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲡᲬᲠᲘᲜᲔᲑᲡ, ᲬᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲜᲐᲮᲐᲓᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲠᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲠᲔᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲜᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲪᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲠᲔᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲗ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ.

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲜᲐᲮᲐᲓᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲝᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲡᲯᲘᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲝᲑᲐ ᲠᲔᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲜᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲪᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲗ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ.

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲜᲐᲮᲐᲓᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲝᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲡᲯᲘᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲝᲑᲐ ᲠᲔᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲜᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲪᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲗ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ.

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲜᲐᲮᲐᲓᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲝᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲡᲯᲘᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲝᲑᲐ ᲠᲔᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲜᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲪᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲗ ᲠᲐᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ.

ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ

• აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავისთვის •

დიდი პოეტის უცნობი წერილები

◦ ძვირფასი შენაძენი ◦

დიდი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავისა და გარდაცვალების 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში პირველად ქვეყნდება მისი პირადი წერილების ახალი კოლექცია, რომელიც დღემდე უცნობი იყო არა მარტო მკითხველთა უართო წრეებისათვის, არამედ მკვლევრებისა და შემოქმედების მკვლევარი სპეციალისტებისთვისაც. ეს კოლექცია მოპოვებულ იქნა პარიზში, გასული წლის გაზაფხულზე, როდესაც ქართველი საბჭოთა მწერლების ჯგუფი საფრანგეთში მოგზაურობდა. ეს იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მიერ მიგზავნილი სპეციალისტებული ტურისტული ჯგუფი, რომლის მიზანსა და ამოცანას შეადგენდა საფრანგეთის სახელგანთქმულ ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, ამ ქვეყნის დღევანდელი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გაცნობა.

ქართველ მწერალთა ამ მოგზაურობის ერთ-ერთ საყურადღებო მომენტს წარმოადგენდა შეხვედრები საფრანგეთში მცხოვრებ ქართველობასთან.

აკაკი წერეთლის ახლად მოპოვებული პირადი წერილების კოლექცია (90 წერილი) მთლიანად იბეჭდება ეურნალ „მნათობის" მიმდინარე წლის მე-9 და მე-10 ნომრებში. აქვე გამოქვეყნებულია ქართველ მწერალთა ტურისტული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის კრიტიკოს ბ. ელენბის სტატია „ძვირფასი შენაძენი აკაკის ბიოგრაფიისათვის", რომელიც ლაპარაკია საფრანგეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე და. ცხადია, დიდი მგოსნის ბიოგრაფიის ახალ მასალებზე. ბ. ელენტი აკაკის წერილების მოპოვების თაობაზე წერს:

„პარიზში ჩასვლის დღესვე გავიგეთ, რომ იქ, ერთი ქართველის ოჯახში, ინახება დღემდე უცნობი კოლექცია აკაკი წერეთლის წერილებისა ცოლისა და შვილისადმი (რუსულ ენაზე — რედ.). 1943 წელს საფრანგეთში გარდაცვლილა აკაკის ერთადერთი შვილი ალექსი, რომლის პირად არქივშიც აღმოჩენილა დიდი პოეტის ხელით დაწერილი 90 ბარათი მეუღლისა და ვაჟიშვილისადმი. ჩვენ, ცხადია, დიდად დაგვაინტერესა ამ ცნობამ და გამოვთქვით სურვილი ამ ძვირფასი რელიკვიის ნახოლებისა სამშობლოში, რათა მას ღირსეული ადგილი დაეჭირა ქართული კლასიკური მწერლობის ისტორიის პირველწყაროთა საგანძურში.

მასპინძლებმა მითხრეს, რომ მათ დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ ამ ბარათების გამოგზავნა საქართველოში, რათა სამშობლოს არ დაკარგოდა ესოდენ ძვირფასი ისტორიულ-ლიტერატურული განძი, და ელოდნენ ამისათვის შესაფერ შემთხვევას. და აი ახლა მე, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს, მათ გადმომცეს ეს კოლექცია მწერალთა კავშირისათვის ან რომელიმე სათანადო დაწესებულებისათვის გადასაცემად. მე, ბუნებრივია, დიდი მადლობა მოვახსენე მათ ასეთი ნდობისათვის, უფრო კი იმისათვის, რომ მათ დაუცავთ და შეუნახავთ ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის ბიოგრაფიის ეს ძვირფასი მასალა".

დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის დღემდე უცნობი პირადი წერილების აღმოჩენა მნიშვნელოვანი ლიტერატურული და კულტურული ფაქტია. გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს დიდი მგოსნის ცხოვრებისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიისადმი, დღეს თავის მკითხველებს სთავაზობს აკაკის ახლად მიკვლეულ რამდენიმე წერილს და „მნათობის" ფურცლებზე გამოქვეყნებული ბ. ელენბის სტატიის იმ ნაწილს, რომელიც, კერძოდ, აკაკი წერეთლის პირადი წერილების ახალ კოლექციას შეეხება.

იდი პოეტის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში წერილების ამ ახალ კოლექციას საგანგებო თავისებური და უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება. ეს წერილები ავსებს და ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას აკაკი წერეთლის ცხოვრების ისტორიაზე, მის სულიერ მდგომარეობაზე სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით კი მის ოჯახურ ცხოვრებაზე. მის ურთიერთობაზე, რომლის შესახებაც ჩვენ დღემდე თითქმის არაფერი ვიცოდით და რომელიც, როგორც ჩანს, უდიდეს გავლენას ახდენდა პოეტის სულიერ ვითარებაზე.

დამახასიათებელია, რომ ცოლისა და შვილისადმი მიწერილ 90 წერილში ლაპარაკია უმთავრესად პირად — ოჯახური ურთიერთობის საკითხებზე და მხოლოდ იშვიათად, აკა-იქ თუ იჩენს თავს ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა, საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და აქტუალობის რიმე საკითხი. ჩანს, ცოლსა და შვილს იმდენად შორეული კავშირი ჰქონიათ დიდი პოეტის საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან, მის შემოქმედების ცხოვრებასთან, მის მასულდგმულებელ იდეალებთან, მაღალ პატრიოტულ და ჰუმანისტურ იდეებთან, რომელთაც ასე მთლიანად შესწირა თავისი სიცოცხლე და ტალანტი ნიჭი აკაკი წერეთელმა, რომ ყოველივე ამის შესახებ თითქმის სრულიად არაფერია თქმული ამ წერილებში. უკვე ეს გარემოება საკმარისია იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ მთელი სიღრმე და სიმწვავე ტრაგედიისა, რომელსაც პირადი ცხოვრების, ოჯახური ურთიერთობის სფეროში განიცდიდა დიდი პოეტი. მას არ შეეძლო თავისი ყველაზე ძვირფასი და უწმინდესი აზრები. და მისწრაფებანი გაეზიარებინა უახლოესი ადამიანებისათვის — ცოლისა და ერთადერთი შვილისათვის.

ამიტომაც აკაკი წერეთლის ამ პირად წერილებში ცოტა რამ არის ისეთი, რომელიც რაიმეს მატებდეს ჩვენს ცოდნას დიდი პოეტის მსოფლმხედველობაზე, მისი შემოქმედებისა, და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათზე, აზრსა და შინაარსზე. მაინც, ამ მხრივაც ამ წერილებში ზოგი რამ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ამოიკითხება

დიდად საყურადღებოა, მაგალითად, ის მღელვარე გულისწყრომა და წრფელი აღშფოთება, რომლითაც პოეტი მოუთხრობს თავის ადრესატებს რეაქციის წლებში ცარიზმის სისხლიანი სატრაპების მიერ ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული ჯოჯოხეთური ვაკანალიის შესახებ.

ერთ წერილში პოეტი აცნობებს მეუღლეს: „ქუთაისის გუბერნია გავერანებულია... იწვის სახლები, დუქნები და მაღაზიები გაძარცულია, ადამიანებს ხოცავენ ბუზებივით, არ არჩევენ მართალსა და მტყუანს. საჩხერე დარბეულია".

პოეტის პირად მიმოწერაში გაფანტული ასეთი სტრიქონები ეთანხმოვნება და აძლიერებს იმ ზიზღისა და მძულვარების პათოსს, რომლითაც აკაკი წერეთელმა რეაქციის წლებში დაწერილი არა ერთი მხატვრული ნაწარმოებით მომაკვდინებლად ამხილა ხალხზე შურისძიების ბოროტი ინსტინქტით გაცოფებული თვითმპყრობელობის სისხლიანი თარეში.

საყურადღებოა აგრეთვე ამ წერილებში პოეტის მიერ გამოთქმული კმაყოფილება თავისი იუბილეს გამო. აღვირახსნილი ცარისტული რეაქციის საპასუხოდ, ქართველი ხალხის ბოსისხლე მტრების მიერ ილია ჭავჭავაძის ავაზაკურად მოკვლის საპასუხოდ თავისი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა საქართველომ 1908 წელს ხაზგასმულად დიდებული და ამაღლებული ზეიმით იღლესწაოლა თავისი დიდი ეროვნული პოეტის აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე. ეს იყო ქედუხრელი და დაუმორჩილებელი საქართველოს ძალთა დათვალიერებისა და საქეთესო დემონსტრაციის დიდებული აქტი. სწორედ ამიტომ პოეტი ქმაყოფილია ამ იუბილეთი, იგი დაწვრილებით აცნობებს ცოლსა და შვილს ამ იუბილეს სამზადისისა და მისი მიმდინარეობის პროცესს და ერთ წერილში დაასკვნის: „უნდა გითხრათ, რომ ეს არ არის უბრალო იუბილე... ეს არის ხანგრძლივი სახალხო დღესასწაული".

პოეტის ბუნებისა და ხასიათის ნათელსაყოფად გარკვეული მნიშვნელობა აქვს ცოლისა, და შვილისადმი მიწერილ იმ ბარათებსაც, რომლებიდანაც ეტყობილობთ, თუ როგორ უმირდა და ეძინელებოდა აკაკის სამშობლოდან გაგზავრება, თუნდაც მცირე ხნით დამორება მშობელი ხალხისაგან, მშობლიური მიწა-წყლისაგან.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკაკის კერძო წერილების ეს კოლექციი არ იძლევა მდიდარ მასალას პოეტის მსოფლმხედველობისა და საზოგადოებრივი იდეალების, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქის დასახასიათებლად.

მაინც ეს გარემოება სრულიად არ ამცირებს ამ წერილების ისტორიულ-ლიტერატურულ ღირებულებასა და მნიშვნელობას. აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა, მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის შინაარსი, ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და ქმნიდა დიდი პოეტი, ჩვენთვის საკმაოდ არის ცნობილი ბევრ ყოველისა თვით მისი დიადი პოეტური მემკვიდრეობის, აგრეთვე სხვა მრავალი და მრავალფეროვანი მასალისა და წყაროების მეშვეობით. **აკაკი წერეთლის პირადი წერილების ამ ახლად მოპოვებული კოლექციის ფასი და მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფარდას ხდის პოეტის ცხოვრების ისტორიას და სულიერი ბიოგრაფიის ისეთ მხარეს, რომელიც დღემდე ყველაზე ნაკლებად იყო ჩვენთვის ცნობილი და გაშუქებული. ეს არის პოეტის პირადი — ოჯახური ცხოვრება, მისი ურთიერთობა ცოლთან და შვილთან და ამ ნიადაგზე აღმოცენებული განწყობილება, რაც, ცხადია, გავლენას მოახდენდა პოეტის მთელ სულიერ ცხოვრებაზე და, მაშასადამე, მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ხასიათზეც.**

დიდ ქართველ კლასიკოსთა შორის აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ბიოგრაფია და პირადი ცხოვრების ისტორიაც ყველაზე ერცლად და მრავალმხრივად არის შესწავლილი ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში. საკმარისია დავასახელოთ ლევან ასათიანის შესანიშნავი წიგნი **„ცხოვრება აკაკი წერეთლისა"**, რომლის ბადალიც ამ თვალსაზრისით დღემდე არ დაწერილა არც ერთი ქართველი მწერლის შესახებ. მაგრამ ამ მრავალმხრივად შესანიშნავ ნაშრომშიც, რომელშიც მკაფიოდ და ჭეშმარიტი შთაგონებით არის ასახული დიდი პოეტის ბედისა და ცხოვრებისეული გზა, აკაკის პირად-ოჯახურ ცხოვრებას, მის ურთიერთობას ცოლ-შვილთან მცირე უურადღება აქვს დათმობილი. სწორედ იმიტომ, რომ პოეტის ბიოგრაფიის ამ მხარის შესახებ დღემდე არ მოიპოვებოდა სათანადო მასალები. მისი საუკეთესო ბიოგრაფი იძულებული გამხდარა ამ საკითხში მხოლოდ იმ ცნობებით დაკმაყოფილებულიყო, რომელიც მაგვცა თვით აკაკიმ თავის უკანონ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი".

და აი ახლა, პოეტის პირადი წერილების ხსენებული კოლექციის მოპოვებით, ჩვენს თვალწინ პირველად გადაშლილა პოეტის პირად-ოჯახური ცხოვრების სურათი, გამსჭვალული ღრმა დრამატიზმით, მღელვარე განცდებით, მწვავე გულისტკივილით, რაც როგორც ახლა ირკვევა, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ყოფილა იმ „პირადი მწუხარებისა", იმ სევდისა და ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობისა, რომელიც უღრმესი ემოციური ძალით ამა გამოხატული აკაკი წერეთლის მთელ რიგ ლირიკულ შედევრებში.

ალარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს;
ჩემს შარბათში ნაღველს ვსვეტ და
ვარდში გველს,
მისთვის ვწყევლ და ვემდური ამ სოფელს,
რომლისგანაც მე გზები ამერია!

გრდებტა პოეტი და ახლა, ცოლ-შვილისადმი მიწერილი მისი წერილების გაცნობის შემდეგ, ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ამ დაუსრულებელი სატანჯველის ერთ-ერთი მიზეზი, იმ დიდ გულისტკივილთან ერთად, რომელსაც პოეტი განიცდიდა თავისი ხალხის ეროვნული და სოციალური მონობის გამო, ყოფილა პირად-ოჯახური ცხოვრების მოუწყობლობა. მუდმივი სიმარტოვე, საყვარელი ცოლ-შვილისაგან დაშორებით უბინაოდ და მიუსაფრად ყოფნა, ნიეთიერი გაჭირვება, მეუღლესა და შვილთან ურთიერთობაში დაუსრულებელი მღელვარება, მწვავე წინააღმდეგობანი და უსიამოვნებანი.

როგორც ამ წერილებიდან ირკვევა. აკაკის უაღრესად წრფელი გრძნობით ჰყვარებია თავისი მეუღლე და ერთადერთი შვილი. მთლიანი ყველა წერილი ხელმოწერილია პოეტის უნაზესი გრძნობებს გამოხატავენ სიტყვებით: „გკოცნით თქვენი აკაკი". „მარად თქვენი მოყვარული აკაკი". „კუბოს კარამდე თქვენი მოყვარული აკაკი" და ა. შ.

პოეტი მთელი ცხოვრების მანძილზე მოხიბლული ყოფილა თავისი მეუღლის ადამიანური ღირსებებით, დიდად აფასებდა თავისი ვაჟის ნიჭიერებას, განათლებას, უნარსა და ენერგიას და ოოიეესადმი წრფელი სიყვარულით და კეთილმოსურნეობით ყოფილა გამსჭვალული. და მით უფრო მწველად და მტკივნეულად განიცდიდა მათგან მუდმივ დაშორებას. როგორც ჩანს, მეუღლესა და შვილს არ ესმოდათ აკაკის დიადი საზოგადოებრივი იდეალები, მისი მაღალი შემოქმედებითი მისწრაფებანი, მისი დაუცხრომელი პატრიოტული ბრძოლის ისტორული აზრი და მნიშვნელობა. პეტერბურგის მდიდრულ წრეებში აღზრდილ ხატალიკა ბაზილევსკაია ვერ შეუთვისებია და ვერ შეუყვარებია საქართველო, ის ქვეყანა და ხალხი, რომელიც ესოდენ თავდადებული სიყვარულით უყვარდა აკაკი წერეთელს, — მგზნებარე პატრიოტსა და სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს. ცოლს გული არ უდგებოდა საქართველოში. მას პეტერბურგში თუ სახლეკარგალეთ ცხოვრება სურდა და იზიდავდა.

ალექსიც, აკაკის ერთადერთი შვილი, დედის გავლენით გულგრილი ყოფილა საქართველოსადმი და თავისი დიდებული მამისადმი. დიდად ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა, იგი ავადმყოფურად ყოფილა გატაცებული მუსიკალურ-თეატრალური ინტრიგანტიზით, რაც მოითხოვდა გამუდმებულ მოგზაურობას სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში და ყოველთვის დაკავშირებული იყო დიდ ხარჯებთან, ორსეთან, ათასგვარ ძოლელდნელობასა და ხიფათთან.

და აი, დედა-შვილი გამუდმებულად ცხოვრობენ ხან პეტერბურგში, ხარკოვში, კიევში და რუსეთის მაშინდელი იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში, ხან პარიზში, ნიცაში, ბერლინში, მონაკოში. ალექსის ანტრეპრიზა მეტ წილ შემოხვევებში მოლოდინის გაცარუებით და ზარალით მთავრდება და დედა-შვილი მუდმივ გაჭირვებაში და მძიმე ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფება. ისინი გამუდმებით მოითხოვენ აკაკისგან ფულს. კიდევ მეტიც, — ხშირად ალექსის თავისი ძვირად ღირებული ფანტასტიკური გეგმების ჩაშლის გამო დიდი ვალები ატყდება თავს და მეკალეები პრეტენზიას აცხადებენ აკაკის ქონებაზე. პოეტი გამუდმებულად შეეწროებულ და აფორიაქებულ მდგომარეობაშია.

მართალია, პოეტს გულით უყვარდა თავისი მშობლიური სხვეტორი მისი წარმტაცი ბუნებით, უზომოდ უყვარდა თავისი ახლობლებისა და მეზობელი გლეხების წრეში ტრიალი, მაგრამ მუდმივად სოფლად ცხოვრება ხომ შეუძლებელი იქნებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მორაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ბელადისა და მედროშისათვის, ჩვენი ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის გაჩაღებული ბრძოლის ერთ-ერთი უდიდესი მეთაურისა და მესეეურისათვის, ილია ჭავჭავაძის უპირველესი და უახლოესი თანამებრძოლისათვის.

აკაკის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში უნდა ეტრიალა და ტრიალებდა კიდეც, მაგრამ ისე, რომ არასოდეს არ ჰქონია საკუთარი ბინა და თავშესაფარი, მოკლებული იყო ოჯახურ სითბოს და სიხარულს, თბილისის და ქუთაისის სასტუმროებში ცხოვრობდა მუდმივ ვალებსა და უსიამოვნო პრეტენზიებში ან ნაცნობებისა და პატივისმცემლების ბინებში, სადაც ხანგრძლივად სტუმრის მდგომარეობაში ცხოვრება ალბათ არანაკლებ უხერხულ და უსიამოვნო მდგომარეობაში აყენებდა პოეტს, კიდევ სასტუმროს მეპატრონეთა წუწუნი და პრეტენზიები. ხახეავრ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იცხოვრა ჩვენმა დიდმა ეროვნულმა პოეტმა ამგვარი მოუსვენარი და აფორიაქებული ცხოვრებით, ასეთ სიძარტოვესა და მიუსაფრობაში, ასეთ ვითარებაში მიმდინარეობდა მისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელიც თავის მხრივ აღსავსე იყო მოვალეობა პოეტმა ამგვარი მოუსვენარი და აფორიაქებული ცხოვრებით, ასეთ სიძარტოვესა და მიუსაფრობაში, ასეთ ვითარებაში მიმდინარეობდა მისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელიც თავის მხრივ აღსავსე იყო მოვალეთ ეროვნულმ

ᲕᲐᲡᲐᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ-ᲞᲠᲝᲖᲐᲘᲡᲢᲘ

ᲕᲐᲡᲐ ᲒᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს ვასო გოძიაშვილს უსრულდება 60 წელი. აბსურთან დაკავშირებით შეიქმნა საიუბილეო კომისია, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი. კომისიამ, რომელშიც შედიან საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტი ხელოვნებისა და თეატრის თვალსაჩინო მოღვაწენი, დასახა ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელდება მსახიობის 60 წლისთავის აღსანიშნავად.

ვასო გოძიაშვილის საიუბილეო საღამო გაიმართება 20 დეკემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. საღამოზე მოხსენებას გააკეთებს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი საკონცერტო განყოფილებას ამზადებს. იუბილარის მონაწილეობით უჩვენებენ სცენებს სპექტაკლებიდან „კაცია - ადამიანი?!“, „რაც გინახავს ველარ ნახავ“ და „მეფე ერეკლე“. დღისით მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოეწყობა სამეცნიერო სესია, სადაც წაიკითხავენ მოხსენებებს ვასო გოძიაშვილის შემოქმედების შესახებ.

იუბილეს დღისათვის გამოიცემა კრებული „ვასო გოძიაშვილი“, რომელშიც შევა მსახიობის ავტობიოგრაფია, სტატიები მის შემოქმედებაზე, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა გამოსვლებში ვ. გოძიაშვილზე.

ვასო გოძიაშვილის საიუბილეო საღამოები გაიმართება რესპუბლიკის ბევრ ქალაქში და რაიონულ ცენტრში. (საქდესი).

ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საბინისტროს მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქმრის საცდელ სადგურს აქვს სარდაფი, სადაც 1904 წლიდან ინახება დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი და უცხოური ვაზის ჯიშებიდან მოტანილი ღვინოები. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა მარკის 30 ათასი ბოთლი ღვინო. ღვინოების უნიკალური კოლექციის შერჩევადაცვას ხელმძღვანელობს საცდელი სადგურის ტექნოლოგიის განყოფილების გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვლ. კიწურაშვილი.

კოლექცია ყოველწლიურად მდიდრდება.

ცნობილი ქართველი მწერლის ანტონ ფურცელაძის მოთხრობა „მაცი ხვიტიას“, რომელიც გასული საუკუნის ქართული ბელეტრისტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, დღესაც ინტერესითა და ყურადღებით ვკითხულობთ. ამიტომ ბუნებრივი და მართებულია, რომ კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ ხელი მოკიდა მის ეკრანიზაციას. ფილმს, რომლის სცენარი მოთხრობის მოტივების მიხედვით დაწერა გ. ახალთიანმა, ილებს ახალგაზრდა კინოოპერატორი გიორგი შენგელია.

ამჟამად გადამღები ჯგუფი ზუგდიდის რაიონში იმყოფება. პროფესიულ მსახიობებთან ერთად ფილმში მონაწილეობენ კინომოყვარული ახალბედებიც. ორ მათგანს ამ სურათებზე ხედავთ. ისინი ქ. ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლეები არიან. ერთი, რომელსაც ხელში თავსაფარი უჭირავს, მე-11 კლასის მოსწავლე **ნანული ᲫᲐᲠᲓᲐᲫᲐ** გახლავთ, ხოლო მეორე — **დოდო ᲐᲪᲕᲐᲠᲓᲘᲐ** მე-10 კლასში სწავლობს. ვინ იცის, გაიცლის წლები, ეს გოგონები შეიძლება პროფესიონალი კინომსახიობები გახდნენ და ტკბილად მოიგონონ თავიანთი დებიუტი „მაცი ხვიტიაში“.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ᲢᲣᲠᲜᲔ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ კვირის დასაწყისში (15-16 ნოემბერი) სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში მიემგზავრება, სადაც მას მოელის პასუხსაგები შეხვედრები.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს შეხვედრები მსოფლიოს ჩემპიონთან — ბრაზილიის ნაკრებთან. ეს მატჩები შედგება რიო-დე-ჟანეიროში 21 და 24 ნოემბერს. 1-ლ დეკემბერს საბჭოთა ფეხბურთელები გამოვლენ ბუენოს-აირესში არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ, 5 დეკემბერს — მონტევიდეოში ურუგვაის ნაკრების წინააღმდეგ, 9 დეკემბერს — ჩილეში ცნობილი საკლუბო გუნდის „კოლო-კოლოს“ წინააღმდეგ.

სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრებიან: მეკარეები — **ლ. იაშინი** და **ა. კავაზაშვილი**; მცველები — **ვ. აფონინი, ა. შესტერნინოვი, ვ. პონომარიოვი, მ. ხურცილავა, ვ. დანილოვი, ვ. გეტმანოვი**; ნახევარმცველები — **ვ. ვორონინი, ი. საბო, ს. კუტიკოძე, ბ. პუსაინოვი**; თავდამსხმელები — **ს. მეტრეველი, ე. მალაფეევი, ა. ბანიშევსკი, ნ. ოსიანინი, ვ. ხმელნიცკი, ო. კოპაეევი, მ. მესხი.**

სხვადასხვა მიზეზით ახლა სამხრეთ ამერიკის ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებენ **ვ. ბანიკოვი, ი. ჩისლენკო, ა. ბიბა, ვ. სერებრიანიკოვი, ვ. ივანოვი** და სხვები, მაგრამ ისინი ინგლისში გამგზავრების კანდიდატებად რჩებიან.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი ბრაზილიას ეწვია. მათ პირველი მატჩი ჩქონდათ **ქ. ფრანკში** (სან-პაულოს შტატი) ამავე ქალაქის ნაკრებთან. პირველ ათ წუთში ჩვენს კალათბურთელებს თამაში მიმყავდათ 19:12, მაგრამ ბრაზილიელებმა 3 წუთში არა მარტო აღადგინეს წონასწორობა, არამედ დაწინაურდნენ კიდევაც — 26:23. საბჭოთა კალათბურთელებმა შეძლეს ძალთა მობილიზება და ჯერ მოგვეს ტაბი 40:38, შემდეგ მატჩიც — 77:64.

ᲛᲔᲝᲠᲔ მატჩი საბჭოთა კალათბურთელებს ჰქონდათ რიო-დე-ჟანეიროში მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრებთან და გიმბარჯვეს ანგარიშით 78:73. საბჭოთა ნაკრები ბრაზილიაში კიდევ ხუთ მატჩს გამართავს.

ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲙᲐᲚᲘᲩᲐᲖᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ვიუწყებოდით, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ირანში ტურნეს მართავს სსრ კავშირის ნაკრები გუნდი თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენმა მოქიდავეებმა თეირანში ირანის ნაკრებთან სამი საერთაშორისო შეხვედრი გამართეს. აქედან პირველი ფრედ დაამთავრეს, დანარჩენი ორი კი მოიგეს. საერთო ანგარიშია 15:9 საბჭოთა მოკიდავეების სასარგებლოდ.

უკანასკნელი მესამე შეხვედრა სსრ კავშირისა და ირანის მოკიდავეთა შორის დამთავრდა 5,5:2,5 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ. ამ მატჩში წარჩინდა გამარჯვება მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონმა **ზ. ბერიაშვილმა** (მსუბუქი წონა) და ოლიმპიური ასპარეზობისა და მსოფლიოს ჩემპიონმა **ა. ივანიცკიმ** (მძიმე წონა). პირველმა დაამარცხა **პადემი**, მეორემ — **ჰეილაბი.**

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა მერვედფინალურ მატჩს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასზე. თამაშობდნენ ბულგარეთისა და პორტუგალიის ჩემპიონები — „ლევსკი“ და „बენფიკა“. მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. „ლევსკიდან“ ბურთები ,გაიტანეს **ასპარუხოვმა** და **ნიოლაევმა**; „बेनफिकादან“ ორივე გოლს ავტორი იყო **ეისებიო.**

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲨᲘ ევროპის ჩემპიონთა თასზე უნგრეთის „ფერენცვაროშის“, წინააღმდეგ თამაშობდა სპორტნეთის გუნდი „პანატინაიკოსი“. მატჩი მიმდინარეობდა კოკისპირულ წვიმაში. ბერძნები იბრძოდნენ შეუპოვრად, მაგრამ ბურთის გატანა მაინც ვერ შეძლეს. მატჩის შედეგი — ფრე — 0:0.

ᲛᲐᲚᲐᲚᲘ ᲗᲣ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ?

ᲛᲔᲝᲥᲣᲚᲔ პარტიის გადადებული პოზიცია, რბილად რომ ვთქვათ, ფრიად უსიამოვნო იყო ტალისთვის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონის „ურუ თადაცვა“ უნდა ეწარმოებინა.

როდესაც კონვერტი გახსნეს, ტალს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა: წინადღით სასაკმ ჩაწერილ სვლაზე 23 წუთი იფიქრა და მაინც ცუდი სვლა ჩაუწერია. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა ტალმა, გაცვალა თითო ეტლი, რის შემდეგ მისი მდგომარეობა შემსუბუქდა. მართლია, ამის შემდეგ ტალს სამი საათის განმავლობაში მოუხდა თავის დაცვა, მაგრამ სპასკის პრესინგი ისე საშიში ალარ იყო.

სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ტალი უარესად თამაშობს მარტივ პოზიციებს, უარესად იცავს თავს, ვიდრე უტევს. მაგრამ, როდესაც „ცხოვრება აიძულებს“, ტალსაც შეუძლია შეუპოვრობა გამოავლინოს. და მან თავი დაიცვა მისთვის მეტად მძიმე პარტიაში!

სპასკი შეეცადა ხან მარცხენა ფრთაზე გაჭრილიყო, ხან მარჯვენაზე. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ ყველაფერი ამაო იყო, 71-ე სვლაზე დათანხმდა ყაიმზე.

აზრთა მცირე გაცვლა-გამოცვლამ პრეტენდენტების შორის დაადასტურა გადადებული პარტიის შეფასება. სპასკის რომ სწორი სვლა ჩაეწერა, მისი პოზიცია მოსაგები იქნებოდა.

ამრიგად, მატჩის მეორე კვირის ხანივე პარტია ყაიმით დამთავრდა. ანგარიში კვლავ თანაბარია — 3:3.

Ს. ᲤᲚᲝᲠᲘ.

• • •

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა **ᲕᲚ. ᲑᲘᲜᲬᲖᲨᲕᲠᲘᲗᲛᲐ** გადაიღო, როცა რუსთაველის სახელობის თეატრში მიმდინარეობდა მეექვსე პარტიის გათამაშება. სურათზე: გროსმაისტერი მ. ტალი (მარცხნივ), საერთაშორისო არბიტრი ს. ფლორი და გროსმაისტერი ბ. სპასკი.



ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘ

ᲗᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბოლოს ქოში (დასაწყ. 11 ს. და 30 წ.), სინთლე (საღამოს მე-6 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დრამატული** — სიმღერა შევარდენზე (დღისით), ქუთათურები (საღამოს), **რუსთაველის სახელობის მცირე დრამატული** — შეხვედრა, **მარჯანიშვილის სახელობის** — მედეა (დღისით 24-ე აბონ. მე-9 წარმოდგენა), ვისი, ვისი?! (საღამოს უაბონიმენტოდ), **გრიბოედოვის სახელობის** — მოგზაურები (დღისით და საღამოს), **ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სტუდენტები (დღისით), ალუბლები ყვავიან (საღამოს), **სახკულტურის თეატრი** — პროფესორის სასიძოები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—სათაგური (აბონ. № 25, დასაწყ. 11 ს. და 30 წ.), ოქროთი სავსე ქვეყანა (აბონ. № 20 დასაწყ. 6 ს.).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐᲗᲐᲕᲘᲡ

11.00 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“ (მე-17 გაკვეთილის გამეორება), 11.40 — მხატვრული ფილმი „კაპიტანი“, 15.55 — გადაცემათა პროგრამა, 16.00 — „მუსიკალური კოისკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — „ჯანმრთელობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.45 — კვირის ამბები რუსულ ენაზე, 18.00 — „კინოპანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.15 — „აკაკის ნაკვალევზე“, 19.25 კინონარკვევი, 19.35 — „შრომისა და სიმღერის ადამიანები“ — ახალგაზრდა რაიონი, 20.40 — მხატვრული ფილმი „ჩრდილი გზაზე“, 22.15 — საკვირაო საესტრადო კონცერტი.

ᲛᲔ-9 ᲐᲠᲮᲖᲔ — 17.00-01.00 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის „ჩვენ გვიყვარს სპორტი“, 18.30 — „სკოლების დასახმარებლად“, 18.50 — განცხადებები, 18.55 — ახალი წიგნები, 19.40 — კინონარკვევი, 19.20 — „რუსთველიანა“, 19.40 — კინონარკვევი, 20.00 — მუსიკალური კალენდარი, 20.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.00 — მხატვრული ფილმი „მშვიდობიანი დრო“, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲛᲔ-9 ᲐᲠᲮᲖᲔ — 18.00-00.50 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“
ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ
ᲞᲠᲝᲡ�პ. № 2.
ᲢᲔᲚ. 5-21-62.

14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის.

„დინამო“ (ტალინი) — **„ლოკომოტივი“** (თბილისი) დასაწყისი 15 საათზე.

15 ᲓᲐ 16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის

ცსკა (მოსკოვი) — **„დინამო“** (თბილისი)

15 ნოემბერს სათადარიგო შემადგენლობანი

16 ნოემბერს ძირითადი შემადგენლობანი

თამაშის დასაწყისი 18 საათზე.

16 ნოემბრისათვის ბილეთები ყველა სახის აბონემენტებზე წინასწარ გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 14 და 15 ნოემბერს 11-დან 18 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 16 ნოემბერს 10 საათიდან.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Დ. ᲛᲔᲯᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲕᲐᲡᲐ ᲒᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

ᲡᲘᲛᲦᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲐᲒᲗ

მე ასე მესმის —
მილიონი უს არის ძალა,
ძალა, რომელიც
ბოროტებას ანგრევს და ამსგავსებს,
ეს არის ძალა,
ბოროტებას, რომელიც სზარაზს,
ძალა, რომელიც უფრთხილდება
ჩვენს წვინდა სახელს.

მე ასე მესმის,
მილიონები ეს არის ღონე,
გამჭრიახობა და
სიფაქიზეე განუყოფელი.
ჩვენი სიმართლის და ეაკეობის
ალალი წონა,
ჩვენი წინაპრის და ოჯახის
დიდი კეთილი.
იგი მე მიცავს,
იგი თავს სდგამს ჩვენი
გულისთვის,
ბატონისნებმა მასი ფასი
კარგად იციან,
ერთი კი არა, მას ეკუთვნის
ლეჩაკი ეროვნული...
ამსანაგებო!
გაუმარჯოს ჩვენს ბილიონას.



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: წესრიგის მეუფე.
ფოტო ს. მამასახლისისა.

„ᲘᲚᲘᲐᲝᲒᲐ“ ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ. (საკ. კორ.). „ილიაობა“. — ამ დღესასწაულს ყვარელელები ყოველწლიურად იხდიან დიდი თანამემამულის ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემად. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოვიდნენ სტუმრები წელს „ილიაობაზე“. კულტურის სახლში გაიმართა ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო.

მეორე დღეს ილიას მუზეუმს ათასობით მნახველი ესტუმრა. სტადიონზე გაიმართა შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეში, კულტურისა და დასვენების პარკში „ილიას გორაზე“ მოეწყო მასობრივი სეირნობა. ოჯახებში გვიან ღამემდე ისმოდა „მრავალჟამიერ“.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ

ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ

ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ

ᲤᲨ. ᲣᲒᲚᲝᲕᲘ.
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ

ᲐᲛᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲕᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲝᲛᲘᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲖᲐᲚᲕᲔᲑᲐᲪ. ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ